

## ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მეოთხე საფაკულტეტო კონფერენციის მონაწილეებს

### პატივცემულო კოლეგებო, ძვირფასო სტუდენტებო,

2016 წლის 23 აპრილს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წელი სრულდება. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით მეოთხე საფაკულტეტო კონფერენცია ამ თარიღს ეძღვნება. ბატონი ივანე არა მარტო უნივერსიტეტის ერთ ერთი დამაარსებელი, არამედ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანიც იყო და იმ დროს სწორედ ამ ფაკულტეტის ნაწილს წარმოადგენდა მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ბატონი ივანე ჯავახიშვილის კარგად გააზრებული ხედვა უნივერსიტეტის მოწყობის შესახებ იმაშიც გამოიხატა, რომ ეს დარგები უნივერსიტეტში დაარსების დღიდან არის წარმოდგენილი. ამ დარგების განვითარებაში მის მიერ შეტანილი წვლილის შესახებ უფრო მეტს შეიტყობთ კონფერენციის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ ნარკვევში.

ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით 2016 წლის საფაკულტეტო კონფერენციის ზოგიერთი სექციის მუშაობა ტრადიციულად ეძღვნება შესაბამისი დარგის რომელიმე გამოჩენილ მეცნიერს. მათემატიკის სექცია ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ანდრო ბიწაძის 100 წლის იუბილეს, კომპიუტერულ მეცნიერებათა სექცია – აკადემიკოს ვლადიმერ ჭავჭავანიძის 95 წლის იუბილეს, გეოგრაფიის სექცია – აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ალექსანდრე ასლანიკაშვილის 100 წლის იუბილეს, ბიოლოგიის სექცია – აკადემიის წევრ კორესპონდენტის გრიგოლ თუმანიშვილის 90 წლის იუბილეს, გეოლოგიის სექცია – პროფესორ ვლადიმერ ქოიავას 90 წლის იუბილეს. ამ მეცნიერების ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ კონფერენციის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ ნარკვევებში შეიტყობთ.

მეოთხე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაიწყება 25 იანვარს და დასრულდება 29 იანვარს.

25-28 იანვარი განკუთვნილია სექციური მოხსენებებისთვის, სადაც გარდა უკვე ტრადიციად ქცეული მოხსენებებისა, მოსმენილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში მიღებული შედეგები.

29 იანვარი განკუთვნილია პლენარული მოხსენებებისთვის. პლენარულ სხდომაზე თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელი წარმოადგენს სასტენდო მოხსენებას, რომელშიც მოცემული იქნება 2015 წლის მიღწევები. თითოეული დეპარტამენტი ასევე წარმოადგენს სპეციალურად შერჩეულ ერთ სამეცნიერო მოხსენებას. მრავალი წლის მანძილზე 2015 წელს პირველად მოხდა უნივერსიტეტის მიერ პროექტების მასობრივად დაფინანსება მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში. ჩვენს ფაკულტეტზე დაფინანსების მიზნით 16 პროექტი შეირჩა და ამ 16 პროექტის ძირითადი შემსრულებელი ფაკულტეტის 56 სტუდენტი იყო. აღსანიშნავია, რომ დაფინანსებულ კვლევით პროექტებში ძირითადი შემსრულებლის სახით სტუდენტების ასეთი მასობრივი მონაწილეობა იშვიათია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პლენარული სხდომაზე მოკლე მოხსენება დაეთმობა მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის პროექტებს.

გასული წლების გამოცდილება აჩვენებს, რომ საფაკულტეტო კონფერენციაზე მოხსენების გაკეთება მნიშვნელოვანია და სასარგებლო იმ სტუდენტების და პერსონალისთვის, ვინც სამეცნიერო კვლევით მუშაობას ეწევა.

საფაკულტეტო კონფერენცია საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ გასული ერთი წელი მეცნიერული მიღწევების ჭრილში, დავგეგმოთ მიმდინარე წლის სამუშაოები, ფაკულტეტის პერსონალის და სტუდენტების წინაშე განსახილველად გამოვიტანოთ მიღებული სამეცნიერო შედეგები და აქედან გამომდინარე, წარმოვაჩინოთ როგორც პიროვნული, ასევე სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო პოტენციალი.

გისურვებთ წარმატებას!

პატივისცემით,

**რამაზ ბოჭორიშვილი,**

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი,  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი